თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 6 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “სპარტაკი” (მოსკოვი) 0:0.

“დინამო”: ურუშაძე, ცხოვრებოვი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ძოძუაშვილი (ქიქავა), ჭელიძე, კუტივაძე (პეტრიაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, ლოგოფეტი, გრებნევი (მიხაილინი), კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, როჟკოვი, იანკინი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, ბაბაევი (კისელიოვი), სილაგაძე.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

წინასასეზონო საკონტროლო შეხვედრები (კერძოდ, “ენძელას” ტურნირი) მიზნად ისახავენ გუნდების ადრე შეყვანას საბრძოლო ფორმაში, მოთამაშეთა ფორსირებული წესით მზადებას, მაგრამ რაც უნდა რაციონალური და სასარგებლო იყოს ეს ღონისძიებანი, აპრილი მაინც აპრილია. ფეხბურთელი ჯერ შორსაა სამატჩო განწყობილებისგან, არც ტექნიკურად, არც ფიზიკურად, არც ფსიქიკურად არაა მზად გადაიტანოს დიდი დატვირთვები და ითამაშოს თავისი უნარის შესაბამისად.

გუშინდელი მატჩი ამის ნათელი დადასტურებაა. ორივე გუნდი - დინამოელებიც და სპარტაკელებიც მხოლოდ ეპიზოდურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე იძლეოდნენ ნამდვილი კლასის “პროდუქციას”, უმეტესად კი ეს იყო ტიპიური საგაზაფხულო მატჩი უამრავი შეცდომით და მოთამაშეთა შეუთანხმებლობით. ის სახიფათო მომენტებიც კი, რომლებიც საკმაოდ შეიქმნა ორივე კართან, მცველთა უხეში შეცდომების შედეგი იყო, ხოლო მათი გამოუყენებლობა - თავდამსხმელთა გაუბედაობა და უზუსტობა.

საერთო უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო, სადაც ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ასათიანმა. სპარტაკელებთან თამაშით თუ ვიმსჯელებთ, იგი ფორმაშია. მან ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა, რომელთაგან ზოგი თვითონ ვერ დაამთავრა როგორც საჭიროა, ზოგიც მისმა პარტნიორებმა. არ გამართლდა ხურცილავას მუდმივმოქმედი თავდამსხმელის ადგილზე გამოყვანის ვარიანტი. დინამოელები სისტემატურად ცდებოდნენ გადაცემებისას, “ნორმაზე” გაცილებით უფრო ხშირად ამარაგებდნენ მოწინააღმდეგეს ბურთებით და, ამასთან, შეტევაში გაუგებარი შეჯგუფება ჰქონდათ. მარცხენა ფრთაზე თითქმის არ იყო თამაში, რამაც სტუმრებს შესაძლებლობა მისცა ფლანგებიდან აქტიური დახმარება გაეწიათ გამოუცდელი, ახალგაზრდა სტოპერებისთვის.

მაგრამ, არსებითად, არც მოსკოველები დარჩენილან ვალში. ოსიანინს, პაპაევს, იანკინს ბურთის გატანის არანაკლები შესაძლებლობანი ჰქონდათ და მათაც აშკარად ეტყობოდათ საგაზაფხულო “ავადმყოფობა”. რამდენიმე ეპიზოდში მოწონება დაიმსახურა სილაგაძემ. იგი სწრაფი, ტექნიკური, მახვილი ალღოს ფეხბურთელია.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 7 აპრილი, 1968 წ.